499.9621(077)
ძ- 357

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ძაძუა ჯულიეტა

# ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სწავლება არასპეციალურ ფაკულტეტებზე

13. 00. 02. - ქართული ენის სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

## ავტორეფერატი

თბილისი
2002

დისერტაცია შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **სულაბერიძე ტიტე**
პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ექსპერტები:

**როზა გაბეჩავა**, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**ნათელა მაღლაკელიძე**, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**ინეზა პიპნაძე**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

**გიორგი გოგოლაშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**მანანა მიქაძე**, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის „14“ ნოემბერს 12 სთ-ზე, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტის **P. D.** 13. 00 **C.** №1 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: ქ. თბილისი. 380079I ი. ჭავჭავაძის გამზირი, 32.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის „10“ ოქტომბერს

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ციალა ლოლაძე

- 1861 -

# ნაშრომის ზოგადი დახასიათება

*თემის აქტუალობა:* თანამედროვე ქართულმა სალიტერატურო ენამ ახლა უფრო ფართოდ დაიმკვიდრა ის სინატიფე, სისრულე, ლაკონიურობა და აზროვრივ-სტილისტიკური დახვეწილობა, რომელიც იმთავითვე ახასიათებდა მას. ამ თვისებათა მტკიცედ დაცვა ჩვენი საზოგადოების ყოველი წევრის, ყოველი დარგის მუშაკის საპატიო ვალია. ამიტომ სავსებით კანონზომიერი იყო, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების არასპეციალურ ფაკულტეტებზეც შემოიღეს ქართული ენის პრაქტიკული კურსი ანუ მეტყველების კულტურა (ქართული სიტყვიერება). ამ კურსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განყოფილება არის მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხები.

ჩვენ მიზნად დავისახეთ, შეძლებისამებრ დაგვემუშავებინა ეს მეტად მნიშვნელოვანი თემა, რადგან ჯერჯერობით სათანადო მეთოდიკური შრომა არ არის შექმნილი არასპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ქართული სიტყვიერების სწავლების საკითხებზე მეცნიერულად შეუსწავლელია მეტყველების განვითარების ლინგვისტური, პედაგოგიკურ-დიდაქტიკური და ფსიქოლოგიური საფუძვლები.

ახალი ამოცანების განსახორციელებლად დღის წესრიგში დადგა ამ საგნის პროგრამული მასალის თანმიმდევრულად შესწავლა-შეთვისების ორგანიზაცია და მეთოდიკა, რაც უკეთეს შედეგებს მოგვცემს არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტთა შემეცნებითი შესაძლებლობების გამოვლინებასა და სალიტერატურო ენის ნორმათა დასაუფლებლად.

*კვლევის საგანია* არასპეციალურ ფაკულტეტებზე სტუდენტთა შემეცნებითი აქტივობის მეცნიერული ორგანიზაცია სალიტერატურო ენის დაუფლებისათვის.

*კვლევის ობიექტია* მართლმეტყველებისა და მართლწერის სრულყოფილად შესწავლა და დამუშავება სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომად.

*კვლევის მიზანი და ამოცანები:* ლინგვისტურ, დიდაქტიკურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა თანამედროვე მონაცემებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესზე დაკვირვება და საგანგებო ცდების ჩატარება. მიღებული შედეგების გაანალიზება-განზოგადების საფუძველზე არასპეციალურ ფაკულტეტებზე ქართული სიტყვიერებისა თუ მეტყველების კულტურის სწავლების მეთოდიკური რეკომენდაციები შემუშავდება.

*ჰიპოთეზა:* უპირველეს ყოვლისა, შეიქმნას მეტყველების კულტურის ამაღლების ზუსტი ლინგვისტური მიმართულება, დამუშავდეს არასპეციალურ ფაკულტეტებზე სიტყვიერების სწავლების